

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2018 წლის — ივნისი

ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

ქ. ბათუმში ლუკა ასათიანის ქ. N92-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე პარმენ პატარაიას მემორიალური დაფის განთავსების შესახებ

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ
გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. პარმენ პატარაიას ხსოვნის უკვდავსაყოფად ქ. ბათუმში, ლუკა ასათიანის N92 – ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა.
2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ (ლაშა კომახიძე) განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე